განკარგულება:**გ-27. 27241796**
თარიღი:**27/06/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

27 ივნისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 31 მაისს შემოვიდა ლევან ახალმოსულიშვილის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.45.080) იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემას.

ლევან ახალმოსულიშვილი წლების განმავლობაში სარგებლობს ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე იჯარის უფლებით, სადაც განთავსებული აქვს ყვავილების მაღაზია. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სტაბილურად ირიცხება საიჯარო ქირა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე სხვა მიზნით განკარგვა არ არის დაგეგმილი, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით **5 (ხუთი)** წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.45.080).

2. საიჯარო ქირის წლიური საფასური დამოუკიდებელი აუდიტორის აუდიტორული დასკვნის N 262, 6 ივნისი, 2024 საფუძველზე განისაზღვროს **6 000** (ექვსი ათასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი